

საპროლეტარული სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საპროფკავშირო ორგანო

ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ.

27 თებერვალი, შაბათი, 1988 წ. № 41 (9708) ღ ფანი 3 კაპ.

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან

სპორტული რესპუბლიკის სიმაღლე

წლებიც სიმაღლის თავისებური საფეხურებია. ახლა, როცა ერთმანეთს ვადარებთ 20-იანი და 80-იანი წლების ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობას, განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიკვეთება ის სიმაღლე, რომელსაც სპორტულმა საქართველომ ამ 87 წლის მანძილზე მიაღწია. თუნდაც თბილისში შექმნილი მუშათა პირველი წრებიდან საწარმოთა სპორტულ კლუბამდე განვლილი გზა რამდენის მოქმედია. გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ მასობრივი ფიზკულტურა და სპორტი, ბევრი დიდი სახელმწიფო დღემდე ოცნებობს ჰყავდეს იმდენი ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, რამდენიც მარტო ჩვენს რესპუბლიკაში ცხოვრობს. დიდ სპორტს თავისი კანონები აქვს, მაგრამ მისი ფუნქციები ეროვნულ ენერჯისა და პოტენციალზე არის გადამწყვეტი. სწორედ ეს განაპირობებს ქართული სპორტის ფენომენს.

ჩვენი ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა იმ-თავითვე ინტერნაციონალურია. ჯერ, კიდევ პირველი სპორტული საზოგადოების „შევადრდნენ“ მეშვეობით ერთად უყრიდნენ საფუძველს ჩვენ სპორტს ქართველები და სომხები, რუსები და აზერბაიჯანელები, ჩეხები და ბერძნები. ეს ისტორიული სინამდვილე გახლავთ. გავიხსენოთ 20-იანი წლების პირველი და მეორე ნახევარი, როცა იმართებოდა ამიერკავკასიის მოძვე რესპუბლიკების ერთობლი-

ვი სპორტული ღონისძიებები, 1928 წელს კი პირველი საკავშირო სპორტკლუბის სარბიელზე ერთიანი სპორტული დღეულობით, ერთ ინტერნაციონალურ გუნდად წარდგნენ სამივე მოძვე რესპუბლიკის წარმომადგენლები.

80-იანი წლების მეორე ნახევარში რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა ცხოვრების მხარდამხარ, მის წიაღში მიმდინარე გარდაქმნების გათავისებით მიიწვევს წინ ახალი სიმაღლეების დასაყრდენად. ამ გზაზე თანდათან ვიშორებთ ყველაფერს, რაც ადრე ხელს გვიშლიდა და გვაფერხებდა. ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს უნდა ეწიაროს ყველა — დიდი თუ პატარა. აი, ასეთია სადღეისო და სახვალის ამოცანა. ქართულმა სპორტმა უნდა დაძლიოს ახალი მიჯნები. 1987 წლის სპორტულმა მონაგარმა ყველა გაახარა და ამას წინათ მიღწევები საზეიმოდ აღნიშნეთ, მაგრამ ამ ზეიმს ახალი წარმატებებისათვის მოზიდიზების დანიშნულება ჰქონდა, ამდენად, ცხადია, მიღწეულით თავდაჯერების გამოსახატავად არ შეეკრებილვართ. ქართული სპორტის შემდგომი განვითარებისათვის მწუხრი სისტემის შექმნა, რომლისთვისაც აქტიურად ტარდება კონკრეტული ღონისძიებები, კიდევ უფრო აამაღლებს ჩვენი სპორტის ავტორიტეტს, ახალ სიმაღლეზე აიყვანს სპორტულ რესპუბლიკას.



კვირას, 28 თებერვალს, დილის 10 საათიდან ძველ თბილისში, რიყე-სხე კომპლექსის თბილისის საქალაქო კომიტეტთან და ქალაქის სპორტკომიტეტთან არსებული ახალგაზრდული სპორტულ-კულტურული კომპლექსი „ყაბახი“ იწვევს სპეციალური ყველა მოყვარულს საქალაქო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ვისაც სურს გაერთიანდეს სპეციალურ კლუბში, რომელიც ზემოხსენებულ კომპლექსთან ყალიბდება, ვთხოვთ, გვეწვიოს „ყაბახის“ შენობაში, რიყეზე, 27 თებერვალს დილის 10 საათიდან.

ხელსაყრელი ამინდის შემთხვევაში შეჯიბრებები ჩატარდება ყოველ კვირა დღეს.

ასევე ყოველ კვირა დღეს, 10 საათიდან, გეპატივებით ხელბურთის ოლიმპიური რეზერვის სკოლისა (გლდანის) და 58-ე ზოგადსაგანმანათლებლო სპეციალიზებული საკლასობრივი სკოლის (წერეთლის გამზირი 95-ა) დარბაზებში, სადაც გრძელდება საქალაქო შეჯიბრებები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ნაკრებ გუნდებს შორის მინიფეხბურთისა და კალათბურთში გახსენების „ახალგაზრდა კომუნისტისა“ და „მოლოდიოე გრუზიის“ პრიზებზე.

შეჯიბრებები ჩატარდება 28 თებერვალს, 5, 13 და 20 მარტს. **კომპაზშირის თბილისის საქალაქო კომიტეტი.**

ინფორმაცია

მსახურის ქალაქ ლიხაურში მიმდინარე ვაჟთა საერთაშორისო საპროლეტარული ტურნირში, სადაც მონაწილეობს მთელი რესპუბლიკის 3 ტურის შემდეგ ლიდერობს საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენელი ბე-ლიავესკი — 2,5 ქულა. მათა ჩიბურ-დანიძეს ჯერჯერობით ქულა არ მოუპოვებია, ერთი პარტია გადა-ღებულია.

პრესტიჟული ტურნირის ჯილდოები

ჩვიდმეტი ქვეყნის სპორტსმე-ნები მონაწილეობდნენ თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა დიდ საერ-თაშორისო ტურნირში, რომელსაც კლუბის ქალაქმა სანტალოარამ უმა-სპინძლა. შეჯიბრებაზე ჩვენი ქვეყ-ნის სახელს საქართველოს ექვსი ფალავანი იცავდა. ტურნირის ჩემ-პიონები გახდნენ თბილისელი მო-ჭიდავეები: 62 კგ წონის — შამილ მაგომედოვი და მამუკა რაზმაძე (90 კგ, ორივე სპორტსმენის მწვე-რთნელები არიან ვანო ნიკოლა-ძე და ვლადიმერ მესტვირიშვილი). თბილისელმა გია ვალდაევამ მეორე ადგილი დაიკავა მძიმე წონაში. მესამე ადგილებზე გავიდნენ თბი-ლისელი ზურაბ ტატუაშვილი (62

კაბანდონებ პალთა ტურნირში გაბაჩუხებულაშვილის ნანა იოსებ-ლიანისა და ელენა ასმილოვსკიანის დამატებითი მატჩი

ნანა იოსელიანი მიზანთან ახლოსა

მართლაც პარტიით დაიწყო მეორე ნახევარი დამატებითი მატჩისა, რომელმაც საბოლოოდ უნდა გახსნეს პასუხი 38 შეჯიბრების მთავარ შეჯიბრებაზე — ვინ იქნება მათა ჩიბურდანიძის მეტოქე?



ნანა იოსელიანმა არა მარტო მი-იღო ეს შეწირვა, არამედ უაღრეს-სად ზუსტი სვლებით უვნებლყო კიდევ ასმილოვსკიას ყველა მუ-ქარა და 31-ე სვლაზე სვლების განმეორებით მეტოქეც დაზავდნენ. ამრიგად, 4 პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 2,5:1,5 ნანა იოსე-ლიანის სასარგებლოდ. დარჩენილ ორ შეხვედრაში მოხნის მისაღწევად ნანას ახლა ნახევარი ქულაც აძლევს ხელს, მაშინ როცა ასმილოვსკიას ორივე პარტიაში მხოლოდ მოგება სჭირდება.

თამაშს ხარბაძემ, „ლელოს“ საკუთარი კორესპონდენტი წყალტუბო.

გუზინ...

გაიმართა მატჩის მეხუთე პარ-ტია. თეთრი ფიგურებით იოსელი-ანი თამაშობდა. მეტოქეები უაზრ-ზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახლ-და 3:2 იოსელიანის სასარგებლოდ. მატჩი ვადამდე შეწყდა. ამრიგად, მათა ჩიბურდანიძისთან შეხვედრის უფლება მოიპოვა ნანა იოსელია-ნმა.




რესპუბლიკის ქაბუჯი მხედრები ამჟამად თბილისში არიან სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე და ქაბუ-ჯთა მეორე საკავშირო შეჯიბრები-სათვის ემზადებიან.

იხ. გვ. 2 83

იუბილე ზაიმიტ ალნიშნეს

ზედაქმნის სასოლო-სამეურ-ნეო ტექნიკუმის სპორტულ დარ-ბაზში, რომელიც 600 მაყურებელს იტევს ჩატარდა საბჭოთა შეიარაღე-ბული ძალების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი. სპ-ორტულზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ზედმეურისა და აჩივარის ტექნი-კუმების პედაგოგებისა და მოსწავ-ლეების კოლექტივები. რაიონის დოსაფის ტირში გაი-მართა სროლის კვირეულის ფინა-ლური შეჯიბრებები.

„ლელოს“ კორ. ზუგდიდი.



გაიზანით: ეგპლავა

ჩვენს სურათზე აღბეჭდილია საკავშირო ნებაყოფლობითი ფიზ-კულტურულ-სპორტული საზოგადო-ებების ემბლემა. ემბლემა ავტო-რია მხატვარი-გრაფიკოსი ი. გორ-სკია, რომლის ნახატმა გაიმარჯვა ამ სპორტსაზოგადოების მიერ გა-მოცხადებულ საკავშირო კონკურს-ში.

შენკაძრა პალარი გრუველთან



ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვალერი ბრუმელი დიდხანს ანციფრებდა მთელ მსოფლიოს მაღალი სპორტული ოსტატო-მელის ეპოქა სიმაღლეზე ხტომაში. სპორტის გულშემატკივრებმა იციან, რომ ბრუმელს ავტორტრასზე მოტოციკლით ავარია შეემთხვა და ძლივს შეუნარჩუნეს ფეხი. მკურნალობის შემდეგ იგი ერთხანს კვლავ გამოდიოდა სარბიელზე. ვ. ბრუმელი ამ დღეებში თბილისს, თავის ძველ მეგობარს, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს რ. შვალაყაძეს ეწვია. ცნობილი სპორტსმენი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რე-ქტორატმა მიიწვია, სადაც მან ფართო აუდიტორიის წინაშე ლექცია წაიკითხა. შემდეგ სტუმარმა ილაპარაკა თავის სპორტულ ბიოგრაფიაზე, პასუხი ვასკა მრავალრიცხოვან შე-კითხვებზე. ვ. ბრუმელი (მარცხენა სურათზე შუაში) ინსტიტუტის სპორტული კლუბის საპატიო წევრად აირჩიეს და გადასცეს ფასიანი საჩუქრები.

სოფელმა განსაკუთრებით სპორტის პროვინულ სახეობებს უნდა მიხედოს

ინტერვიუ ყრილობის დღეგატან, გურჯაანის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირების რაიონული კომიტეტის თავმჯდომარესთან გ. ლაშქარაშვილთან.



რას გვეტყობთ ფიზკულტურისა და სპორტის სოციალური როლის შესახებ?

— დღეს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხანაში, ადამიანის მოღვაწეობის სიმძიმის ცენტრმა გონებრივ შრომაზე გადაინაცვლა. მომავალში კიდევ უფრო შემცირდება ფიზიკური შრომის აუცილებლობა, ასე რომ, ადამიანის პარამონიული განვითარებისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობის — ფიზკულტურისა და სპორტის მნიშვნელობა გაიზარდა.

თქვენის აზრით, რამდენად შეეხო გარდაქმნა სპორტს, საგრძნობია თუ არა თვალსაჩინო ცვლილებები?

— გასულ წელს საქართველოს სპორტსახეობის საქმიანობაში დამკვიდრდა სახელმწიფო მიღება, რაც სრულიად გამართლებულად მიმაჩნია. სხვა სასიკეთო სიახლე-ცვლილებებიც ბევრია, მაგრამ ისინი ძირითადად დიდ სპორტს შეეხო, მასობრივ სპორტში კი ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა გადასაჭრელი. ზოგიერთ მათგანზე შევჩერდებით.

რატომაც მიჩინათ, რომ ფიზკულტურის მეთოდისტობა იოლი საქმეა და ყველას შეუძლია. ფიზკულტურულ კოლექტივებში ჯერ კიდევ მრავალ არიან ისეთი ინსტრუქტორები, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო სპორტთან, ანდა ძალზე ინერტულები არიან.

გვაფიქრებს აგრეთვე ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელთა ადგილებზე დამოკიდებულება სპორტისადმი. ახა, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ ასეთ

ფაქტს: კვალიფიციური მწვრთნელი, სპორტის ოსტატი სამბოში ერთ-ერთ სოფელში მეთოდისტად მივაკლინეთ, ჭიდაობის ორი ჯგუფიც მივეცი. ის კი თვეებზე განმავლობაში მეთოდისტის დირექტორის მოთხოვნით ვარჯიშის მოვალეობას ასრულებდა. ამ ხნის მანძილზე ცდებოდა საწვრთნელი მეთოდისტები, რამდენიმე რაიონულ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მიიღეს ამ სოფლის გუნდებმა. სოფელსა და მის ხელმძღვანელობას მხოლოდ იმით არ ვასახელებ, რომ მათ უკვე მიიღეს გაფრთხილება და მსგავსი რამ თუ განმეორდება, მკაცრად დაისჯებიან.

რა მდგომარეობაშია რაიონის სპორტული ბაზები, როგორ იყენებთ მათ?

— სპორტული ბაზების რაოდენობითა და მათი მდგომარეობით ბევრს არ ჩამოვრჩებით. ბოლო წლებში კიდევ უფრო გაუმჯობესდა სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა — კეთილმოეწყობა ვახისტუნის ფეხბურთის სტადიონი, ვახისტუნის სოფლის სოფლის მეურნეობის სპორტული კომპლექსის კაპიტალური რემონტი და სხვა. მაგრამ არსებულ ბაზებს მაქსიმალურად ვერ ვიყენებთ. მარშან, მაგალითად, ვახისტუნის და შრომის საუკეთესო საფეხბურთო მოედნები მთელი სეზონის განმავლობაში იმითვე ცდილობდა, რომ ამ სოფლების გუნდები არ მონაწილეობდნენ რაიონის საფეხბურთო პირველობაში. ადრე შრომის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი ერთ-ერთი საუკეთესო იყო რაიონში — შრომელები სისტემატურად გამოდიოდნენ სარაიონო შეჯიბრებებში, სო-

ფლის ფეხბურთელთა გუნდი კი საქართველოს პირველობაზე თამაშობდა. ახლა ეს კოლექტივი ჩამორჩენილია შორისა. მოწინავეთა რიგებში იყვნენ ვახისტუნის კოლმეურნეობისა და ბაკურციხის მეურნეობა-ტექნიკუმის ფიზკულტურელები, მაგრამ ბოლო წლებში ისინიც ჩამორჩნენ. ჩამორჩენის მიზეზები, რა თქმა უნდა, ადამიანებში, საქმისადმი მათ დამოკიდებულებაში უნდა ვეძებოთ. რაც უნდა დიდებული სპორტული ბაზები ვაშენოთ, ენთუზიაზმისა და ენთუზიასტების გარეშე არაფერი გამოვა.

რას ენთუზიასტები ახსენებთ, მათ ვინაობასაც ვკითხავთ.

— დღეს გურჯაანში პერსპექტიული მოკრივეები და მოჭიდვეები ვკვყავან, სპორტის ამ სახეობების პოპულარობა კი ისე გაიზარდა, რომ მეცადინეობის ყველა მსურველს ვერ ვაძაყფილებთ. ეს ენთუზიასტები — თამაშ ლაზარევის, ვია ქიტისაშვილისა და აკაკი დურგოშვილის დამსახურებაა. ასეთივე ენთუზიასტია ქალაქ გურჯაანის საავადმყოფოს მთავარი ექიმი შოთა შირაშვილი. მან ჯერ თანამშრომლებთან ერთად დაიწყო გამაჯანსაღებელი სირბილი კურორტ ახტალის მიდამოებში, ახლა კი მისი ხელმძღვანელობით აქ დიდი ჯგუფი ვარჯიშობს.

ფასიან მომსახურებაზე ვკითხვით ორივედ სიტყვა.

— ამ სახის ჯგუფები გახსნილია კრიშინ და ფეხბურთში. ვახისტუნში იღიან მომსახურების შეუდგება გურჯაანის ჩოგბურთის კორტები, სპორტსკოლის საკუთრად აუზი, ცოტა მოგვიანებით პიონერული ბანაკი „ზიარი“. სამომავლო გეგმები დიდია — ენახოთ რას შევძლებთ...

სახსრების კოოპერირებაზე რას გვეტყობთ?

— სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით და სახსრების კოოპერირებით უნდა მოვეარდნ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — სა-

ქმის ფინანსური მხარე. ამით საშუალება მოგვეცემა განვმტკიცოთ უკვე არსებული და ავაშენოთ ახალი სპორტული ბაზები, უზრუნველყოთ ისინი საჭირო საშუალო ერთეულებით.

როგორ ებრძობი სოფლებს სპორტულ საქმიანობაში?

— ახლახან სახალხო დემუკრატია რაიონული საბჭოს აღმასკომმა იმსჯელა გურჯაანის სპორტსკოლის სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაზე და მთლიანად არადამაქმყოფილბლად შეაფასა იგი. გამოამკარავდა უამრავი დარღვევა და სიყალბე. აღმასკომმა საქართველოს განათლების სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი გურჯაანის სპორტსკოლის დირექტორის ვ. ქაჩიშვილის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

გურჯაანის მესამე საშუალო სკოლაში რაიონულ და ზონალურ შეჯიბრებებზე გაგზავნილ მოსწავლეებს „დაუსწრებლად“ დაუსწრეს ნიშანი ფიზკულტურაში. სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცეოდა ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას, რისთვისაც სამართლიანად იყო გაკრიტიკებული თქვენი გაზეთის 1988 წლის 14 იანვრის ნომერში. ამისათვის და სპორტსკოლის მუშაობაზე არასათანადო კონტროლისათვის განათლების განყოფილების გამგე ნ. ოთარაშვილი აღმასკომმა მკაცრად გააფრთხილა. აღინიშნა, რაიონსკომის შესაბამისი სამსახურის და დარგის კურორტის მ. სამაშვილის სუსტი მუშაობა. მესამე საშუალო სკოლის დირექტორს ი. ქიტოშვილს გამოეცხადა საყვედური.

რა კეთდება გურჯაანში სპორტის პროვინულ სახეობათა და ხალხური თამაშების ასაღორძინებლად?

— ვატარებთ სპარტაკიადას ეროვნულ სახეობებში — ქართულ ჭიდაობაში, სიმამიების აწვევაში, ლელობურთში, ჭოკით ხტომაში. სამომავლოდ ვფიქრობთ სპორტუ-

ლი დღესასწაულების პროგრამაში შევიტანოთ ხალხური თამაშები.

რას მოითხოვდით, ყრილობაზე სიტყვით რომ გამოხუთიყავით?

— გურჯაანში და სავრთოდ კახეთში ძალიან პოპულარულია ფეხბურთი. მასობრივობით მან კარგა ხანი ჭიდაობასაც გაუსწრო. მიუხედავად ამისა, წლების განმავლობაში კახეთის რეგიონიდან თითო-ორთა ფეხბურთელი თუ გამოჩნდება თბილისის „დინამოში“, ისიც სათანადოგო შემადგენლობაში და მერე იქიდანაც ქრებიან. გურჯაანის „ალაზანი“, რომელიც სამოციან წლებში საქავეშირო პირველობის „ბ“ ჯგუფში ასპარეზობდა, დღეს საქართველოს პირველობის II ჯგუფში გამოდის. რესპუბლიკურ პირველობაში პირველიდან მეორე ჯგუფში გადაინაცვლა ჯერ ლავიციის „პერიტმა“, მერე თელავის „კახეთმა“. ცუდ დღეშია ყველა „დურჯაი“. ეს ყველაფერი იმის ბრალია, რომ მთელს კახეთში არც ერთი მაღალკვალიფიციური მწვრთნელი არ მუშაობს, მათ გარეშე კი ოსტატები ვერ დაიზრდებიან. დროა, გურჯაანში ან თელავში გაიხსნას სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატი, სადაც ძირითადად სახეობები იქნება ჭიდაობა და ფეხბურთი. დარწმუნებული ვარ, ასეთი სასწავლებელი გაამართლებს თავის დანიშნულებას.

და კიდევ — შარშან საქართველოში გაიმართა პირველი სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში. რამდენადაც ვიცი, ეს ღონისძიება ვერ ჩატარდა სასურველ დონეზე, ვერ გაამართლა იმედები. თუ გინდა სპორტის ეროვნულ სახეობების აღორძინება, შევიტანოთ ისინი რესპუბლიკის სახალხო სპარტაკიადის პროგრამაში.

ესაუბრა ალექსანდრე პაპოშვილი, „დელტის“ საკუთარი კორესპონდენტი. გურჯაანი.

ორიენტირი — ჭაბუკთა II საკავშირო თამაშები

ამ ფაქტის გამომწეურებაზე კარგა ხანს თავს ვიკავებდით, ვფიქრობდით ბოლოს და ბოლოს აფხაზეთის შემოსხნეული რაიონების სპორტული ორგანიზაციები გადაჭრულ ზომებს მიიღებდნენ და ცხენ-მხედრებს ამ რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე მაინც გამოგზავნიდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ახლა თავს უფლებას ვაძლევთ შევკითხოთ მათ, რატომ, რა მიზეზით არ მიგაქვთ გულთან ახლოს რესპუბლიკის სპორტული ინტერესები, საცხენოსნო კლუბები, რომელთა დაფინანსებაზე უამრავი სახსრები იხარჯება, უფრო მნიშვნელოვანს ვიდრე რესპუბლიკის სპორტული ინტერესებია, რას ემსახურებიან? რესპუბლიკაში მხედრების შერჩევის დიდი შესაძლებლობები არ გვაგვაჩნია, თვით საცხენოსნო კერება თითებზე ჩამოსათვლელი და იმითვე მთავარ ცენტრად მაინც აფხაზეთი რჩება, ხოლო თუ იქაც გულგრილად მოეცდებიან საქმეს, მაშინ, შეიძლება თამამად ითქვას, სპორტის ამ სახეობაში აღარავითარ წარმატებაზე არ შეიძლება ფიქრი. მიზეზად ალბათ ცხენების ტრანსპორტირებას, უამინდობას და სხვა ფაქტებს მოიტანენ. ჯერ ერთი, ამ სახაბს კი არ უნდა ამოფარებოდნენ, არამედ ყველაფერი უნდა ედგინათ, რომ იგი თავის მართლებს მიზეზად არ ექციათ. მეორეც, ადრეც განმეორებულია მსგავსი შემთხვევები, რამდენადაც ვიცით, არა მარტო ცხენოსნობაში და არა მხოლოდ ზამთრის პერიოდში. აი, ამაზე ვითხოვთ ობიექტურ, მართალ პასუხს აფხაზეთის სპორტკომიტეტის კოლეგისაგან.

ახლა კვლავ შეჯიბრებას დაეუბრუნდით. როგორც ვთქვით, პირველობა პირალი იყო და ცნობილი ოლიმპიური სახეობების გარდა პროგრამაში ვოლტაჟირებაც შეიტანეს. ამ სიახლის შესახებ უკვე ვწერდით. ვოლტაჟირება მხედრისაგან მოითხოვს კარგ ფიზიკურ მომზადებას, საზრიანობას, რიტმს, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს ცხენის მოძრაობასთან, მოითხოვს გამბედაობას, აკრობატულ მომზად-

ებას, რაც ესოდენ აუცილებელია მხედრისთვის. შეჯიბრება კარგად ჩატარდა, რაშიაც ორგანიზატორების გარდა თავის წვლილი მიუძღვის მსაჯთა კოლეგას და თბილისის იპორტომის დირექციას.

რა გვიჩვენა ასპარეზობამ? მხედრების მომზადებაში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. აი, მაგალითად, დაბრკოლებათა გადალახვაში (კონკური) სიჭაბუკის თასზე, რაც ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების პროგრამაში შედის, 13-დან მხოლოდ ორმა მხედარმა მიაღწია ფინიშამდე.

წელს და შარშან ამ ასპარეზობაში გამარჯვებული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ საკავშირო პირველობის ფინალში, რომელიც მარტის ბოლოს გაიმართება მოსკოვში.

ტაქნიკური შედეგები:

დაბრკოლებათა გადალახვა. გახსნის პრიზი: 1. ზ. ანჩაბაძე (გაი), 2. თ. თარბაია (ოჩამჩირე), 3. რ. ლავიცივა (ზუგდიდი). სიჭაბუკის თასი: 1. რ. ლავიცივა, 2. ა. ქელიძე (განათლების სპორტსკოლა). ცხენის გაწართვა: 1. ი. კობინა (თბილისი), 2. გ. სურგულაძე (თბილისი), 3. ა. უფურგაძე (განათლების სპორტსკოლა). ვოლტაჟირება. 1. დ. ვაშიბაიაშვილი, 2. გ. სურგულაძე (ორივე — თბილისის საცხენოსნო ბაზა), 3. ა. ქელიძე. ორიზი: 1. ი. ყურუა (თბილისი), 2. თ. კორსაგია (ოჩამჩირე), 3. თ. კორსაგია (სხვა ცხენით).

სურათზე: საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი ი. ყურუა.

კალაპი მოსინჯავს

აზერბაიჯანის, სომხეთის, ყირგიზეთისა და ტაჯიკეთის მძლეოსანთა გუნდები უშუალო მეტოქეები

იქნებიან საქართველოს ნაკრებისათვის ჭაბუკთა II საკავშირო თამაშებზე. სწორედ ამ თვალსაზრისით იყო მეტად ამინტერესო 5 გუნდის სამატჩო შეხვედრა, რომელიც ბაქოში უმასპინძლა. მეტად სასიხარულოა ის, რომ ჩვენმა ნორჩმა მძლეოსნებმა შეძლეს ყველას, პირველ რიგში კი მეტოქეთა თითხეულში უძლიერესი კოლექტივის — აზერბაიჯანის გუნდის დამარცხება, ისიც საკუთარ სარბიელზე. საქართველოს ნაკრებმა ორდღიან ბრძოლაში 405 ქულა მოაგროვა, მასპინძლებმა — 394. დანარჩენ მეტოქეთა მიღწევები გაცილებით მოკრძალებული იყო: ყირგიზეთი — 322, ტაჯიკეთი — 233, სომხეთი — 191.

ცალკეულ დისციპლინებში ჩვენმა სპორტსმენებმა საკმაოდ ბევრი, ზოგ შემთხვევაში მოულოდნელი წარმატებები მოიპოვეს. შეჯიბრების ორგანიზატორებს გოგონათა შორის 60 და 100 მეტრზე რბენაში ორ-ორი პირველი ჯოლოს გადაცემა მოუხდათ: პირველ დისტანციებზე თბილისელმა ანაიდა ტროსინამა (მწვრთნელები მიხეილ მუდრიკი და ევგენი საპრონოვი) პირველი ადგილი გაიყა ყირგიზეთის წარმომადგენელ ოქსანა კუქელთან — 7,7. ქარულელმა აზა გაბარევაძემ (მწვრთნელი გურამ ლურსმანაშვილი) იგივე დრო — 12,6 აჩვენა, როგორც ლარისა ლევინამ (ყირგიზეთი).


ბირთვის კვრაში აშკარა იყო საქართველოს მძლეოსანთა უპირატესობა, გოგონათა შორის პირველი და მეორე ადგილებს ლამარა ტულაშვილი მოწვევებმა გურბანდა თედორაძემ (ბათუმი) და ნინო ონაშვილმა დაიკავეს. მათ შესაბამისად 14,65 და 14,30 მეტრი აჩვენეს. ხორავი ჭაბუკთა შორის ახლოსაც ვერაინ მივიდა მეორე ყურაშვილის (მწვრთნელები გივი თალაკვაძე და ყარამან საბანაშვილი) მიღწევასთან — 17,65 მ. აღსანიშნავია, რომ წყა-

ლტუბოელმა ყმაწვილმა, რომელიც ახლა გლზონის სპორტულ სკოლა-ინტერნატიში სწავლობს, უახლოეს მეტოქეს 3,45 (!) მეტრით აჯობა.

60 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა თბილისელმა დიმიტრი ანტონიძემ — 6,7, რომელსაც მამამისი, ანატოლი ანტონიძე აგარჯიშებს. 2000 მ. წინალობებით რბენაში — რუსთაველმა დიმიტრი ცომარტოვმა იმარჯვა (მწვრთნელი ნიკოლაი კრავეცი) — 6.09.0. 60 მ თარგზენში პირველი იყო ბათუმელი ვადიმ ბობილოვი (მწვრთნელები ვალერი კოსოვი და სერგო ქვეთარაძე) — 8,3; ჭოკით ხტომაში — თბილისელი სერგეი გენსაფტი (მწვრთნელი მიხაილ ჩეჟუშკინი) — 4,0 მ. თბილისელმა ვლადიმერ მიწაკოვმა (მწვრთნელი გენადი სავჩენკო) სპორტის ოსტატის კანდიდატის ნორმატივი შესარულა და გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში — 205 სმ.

გაცნობებთ ჩვენი გუნდის სხვა პრიზიორთა შედეგებს. II ადგილზე გაიგდნენ: ბობილოვი, 200 მ. ი. წულუკიძე (თბილისი) — 26,5; 4X200 მ. საქართველოს ნაკრები — 1.46,8; 8 მ სპორტული სიარული. რ. ბინატოვა (რუსთავი) — 15,18; სიგრძეზე ხტომა. მ. კარგიშვილი (თბილისი) — 565 სმ, თბილისელი მარინა შიშკინა მესამე ადგილზე გავიდა სიმაღლეზე ხტომაში — 155 სმ.

ზაზაშაშვილი. II ადგილი. სიგრძეზე ხტომა. დ. ანტონიძე (7,11 მ; 800 და 1500 მ. ვ. არიშინი (თბილისი) — 2,02,6 და 4.13,4; 4X200 მ. ნაკრები — 1.34,7; III ადგილი. 200 მ. ვ. პოპოვი — 23,8; 5 მ სპორტული სიარული. ვ. ბაიძე — 23,33,0; ჭოკი. ვ. ბათუინი (ყველა — თბილისი) — 3,60 მ; სახეობაში. ზ. აღსანიძე (თელავი) — 14,02 მ; ბირთვი. ს. ჭულაყიძე (თბილისი) — 14,05 მ.



ახა გუნდი მერ დაიბეჭდა

1970-1972 წლებში დაბადებული შორის პროფკავშირების რესპუბლიკური პირალი პირველობა ცხენოსნობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპარეზობა იყო ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშებისთვის ჩვენი რესპუბლიკის მხედრების მზადების ციკლში. შეჯიბრება თბილისში გაიმართა, რადგან საქართველოს ჭაბუკ ცხენოსანთა ნაკრები გუნდი სწორედ აქ იმყოფება შეჯიბრებაზე. სიტყვა რაკი ნაკრებზე ჩამოვარდა აქვე ვიტყვი, რომ ეს გუნდი მომავალი ასპარეზობისთვის მზადებას სრული შემადგენლობით არ შედგამია. მიზეზი? გულდაუთმ და სთხუშმა. მოსამზადებლად ცხენები არ გამოავაზენეს, გულრიფშა მხედრები. ასე, რომ სპეციალისტებს ჯერაც არ შეუძლიათ თვლი ნაკრების სრული შემადგენლობისთვის.



კავკასი-88



„კუსული სპორტაჟი“

შარშან ობერსტორფში, მოთხილამურეთა მსოფლიო ჩემპიონატში საბჭოთა სპორტსმენებმა ერთი ოქროს, სამი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. კალგარის ოლიმპიურ ტრასებზე კი ჯერ მარტო ქალებმა სამი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს ჯილდო დასაქუთრეს. აი, სწორედ ამიტომ უწოდებს პრესა ჩვენს მოთხილამურეებს „რუსულ საოცრებას“.

მოთხილამურე ქალთა შეჯიბრების ბოლო სახეობა 20 კილომეტრზე რბოლა იყო. აქ საბჭოთა სპორტსმენებმა სამივე უმაღლესი ჯილდო ერთმანეთში გაინაწილეს:

1. ტამარა ტიხონოვა — 55.53,8,
2. ანფისა რეზოვა — 56.12,8,
3. რაისა სნეტინა — 57.22,1.

ორჯის ოლიმპიური ჩემპიონი, 23 წლის თამარა ტიხონოვა უღმურტეთიდანაა. დაამთავრა ვეტერინარული ტექნიკუმი და ახლა უღმურტეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს. პირველ წარმატებას მან 1985 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა, სადაც ესტაფეტაში ოქროს მედალი მოიგო. კალგარის ოლიმპიადის შემდეგ, — განუცხადა მან ურნალისტებს, — მცირეხანი შესვენება გვექნება, მეტი კი მსოფლიო თასის სტარტებია. აი, სწორედ აქ უნდა დავამტკიცოთ, რომ ჩვენი გოგონების

ოლიმპიური წარმატება შემთხვევითი არ ყოფილა.

ფრანგი სამოთხილამურე ფრანკ პიკარი 1992 წლის თეთრი ოლიმპიადის დედაქალაქ ალბერვილშია დაბადებული და სწორედ ამის გამო ურნალისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. სწრაფდაშვებში შეჯიბრების წინ მას ჰკითხეს: რომელი მედლის მოპოვება გეპყრება განზრახულით. პიკარმა დაუყოვნებლივ უპასუხა: ოქროსი. მაგრამ მისი პროგნოზი არ გამართლდა. ფრანგი მოთხილამურე ბრინჯაოს ჯილდო ერგო.

სამაგეროდ სუპერგიგანტში იგი პირველი იყო და ამ წარმატების გამოკლებას გიგანტურ სლოპშიც აიბრუნა. მაგრამ აი, მივიღეთ ცნობა კალგარიდან გიგანტური სლოპის შედეგები: შესახებ. პირველ ექვსეულში პიკარის გვარს ვერ შეხვდებით. აქ უმთავრესად წარმატებას იტალიისა და ავსტრიის მოთხილამურეებმა მოიპოვეს, რომლებსაც ექვსეულში ორ-ორი მონაწილე ჰყავთ: იტალიელებს — ალბერტო ტომბა (I ადგილი) და ივანო კამოცი (IV ადგილი), ავსტრიელებს — ჰუბერტ შტროლიცი (II ადგილი) და რუდოლფ ნეროლი (V ადგილი). ექვსეულში არიან აგრეთვე ცნობილი სამოთხილამურეები, შვეიცარიელი პირმინ (კურბრიგენი (III ადგილი) და ლიხტენშტეინელი არდრუას ვენცელი.

საბჭოთა სპორტსმენები სერგეი პეტრიკი და კონსტანტინ ჩისტიაკოვი ამჯერადაც სუსტად გამოვიდნენ — ისინი შესაძლოა ათეულში მოხვდნენ.

1. ალბერტო ტომბა (იტალია) — 2.06,37 (1.03,91 და 1.02,46).
2. ჰუბერტ შტროლიცი (ავსტრია) — 2.07,41 (1.05,05 და 1.02,36).
3. პირმინ კურბრიგენი (შვეიცარია) — 2.08,39 (1.05,57 და 1.02,82)...
30. სერგეი პეტრიკი (სსრ კავშირი) — 2.15,16...
35. კონსტანტინ ჩისტიაკოვი (სსრ კავშირი) — 2.16,67.

პოკეისტა ტურნირზე გაიმართა მორიგი შეხვედრები. საბჭოთა სპორტსმენებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს მარტი ოლიმპიადის მასპინძლებთან და გაიმარჯვეს 5:0 (0:0, 2:0, 3:0). სხვა ორი შეხვედრა დამთავრდა ასე: შვეიცა — ჩეხოსლოვაკია 6:2 (0:1, 3:0, 3:1), ფინეთი — ფრ 8:0 (3:0, 3:0, 2:0).

ახლა პოკეისტა საპროზო ადგილების განაწილება ბევრად არის დამოკიდებული ფინეთ-ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირ-შვეიცის შეხვედრათა შედეგებზე. ხუთშაბათს კი მხოლოდ ერთი მარტი გაიმართა, რომელმაც VII ადგილის მფლობელი გუნდი გამოავლინა: აშშ-მ დაამარცხა შვეიცარიის ნაკრები 8:4 (2:1, 3:0, 3:3).

ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირად ჯერჯერობით ვლადიმერ კრუტკი ითვლება, რომელსაც 13 ქულა აქვს (6 შაბა და 7 საგოლუ პასი). მომდევნო ადგილებზე არიან სერგეი მაკაროვი — 11 ქულა (3 და 8), ამერიკელი კოუჩი მილენი — 10 ქულა (5 და 5), ვიაჩესლავ ფეტისოვი — 10 ქულა (3 და 7), იგორ ლარიონოვი — 10 ქულა (2 და 8), ფინელი რაიმო ჰელმინენი — 10 ქულა (2 და 8).

ოლიმპიადის ტაბლო

სათხილამურო ორბიდი. გუნდური შეჯიბრება. 1. ფრ (პან-პეტერ პიოლი, თომას მიულერი, ჰუბერტ შვარცი). ესტაფეტა 3X10 კმ — 1:20.46,0; 70-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომა — 629,8 ქულა.

2. შვეიცარია (ფრედი გლაცმანი, ანდრუას შალი, აბოლიტ კემპფი) — 1:20.49,4 და 571,4 ქულა.

3. ავსტრია (პანს-იორგ აშენვალდი, პონტერ ჯარი, კლაუს ზულცენბაერი) — 1:21.16,9 და 626,8 ქულა.

საბჭოთა სპორტსმენები ერთ-ერთი მონაწილის ავადმყოფობის გამო შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

გიგანტური სლოპი (ქალბები). 1. ფრენი შნაილერი (შვეიცარია) — 2.06,49.

2. კრისტა კინშოფერ-გულტლაინი (გერ) — 2.07,42.

3. მარია ვალიზერი (შვეიცარია) — 2.07,72.

ბრამპლინიდან ხტომა (გუნდური შეჯიბრება). 1. ფინეთი (მატი ნიუკიანენი, არი ჰეკა ნიკოლა, ტუომო იალიოული, იარი პუიკონენი) — 634,4 ქულა.

2. იუგოსლავია (პრიმოჟ ულაგა, მატიაჟ უჰანი, მატიაჟ დემელოვი, მირან ტეპეში) — 625,5 ქულა.

3. ნორვეგია (ოლე ეილდამერი, იონ ხორუმი, ოლე ფიდიესტოლი, ერიკ იონსენი) — 596,1 ქულა.

სპორტინალის ფინ

მოსკოვა და კუნანში გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთულ ვეუთა საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები.

მოსკოვი. პირველ შეხვედრაში წარუმატებლობის შემდეგ (77:106) თბილისის დინამოელებმა აქ მეორე მარტი გამართეს არმიის ცენტრალური სპორტული კლუ-

მოზაიკა

ოლიმპიურმა ჩიარდანმა, სანამ იგი კალგარში ჩავიდოდა, ზაფხულის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქი სეულში მოინახულა. იგი სახმრეთ კორეის ტერიტორიაზე 21-მა ათასმა მერიარდლემ გამოატარა.

პატი-პატი ყველაზე პოპულარული ოლიმპიული კალგარში გდრის ფიგურისტი კატარინა ვიტი გახლავთ. მისგან ინტერვიუს აღება შეიძლება მხოლოდ „წინასწარი ჩაწერით“. სახელოვან სპორტსმენთან საუბრის სურვილს ყოველ დღე ასამდე ურნალისტი გამოთქვამს.

სამოთხილამურეებში ოლიმპიურ ტრასებზე სარეკორდო სისწრაფეს ანვიტარებენ, მაგრამ აბსოლუტური რეკორდის გაუმჯობესება ჯერ ვერაინ შესძლო. ეს რეკორდი დამყარდა შარშან წლის ბოლოს იაპონიაში, პოკაიდოს კუნძულზე. ფინელმა იუჰან ლაასომ სწრაფდაშვების ტრასაზე საათში საშუალოდ 151,837 კილომეტრი განავეითარა. თანაც მას სარეკორდო ცდის დროს არ გამოუყენებია „აეროდინამიკული ტანსაცმელი“.

10 დოლარინ ოლიმპიურ საიუბილეო მონეტაზე გამოსახულია კანადის პოკეისტა ნაკრები გუნდის მეკარის შინ ბერკის პორტრეტი. მან ასეთი პატივი გაზეთ „ზენიტის“ პრინციპალურ დამფუძნებელს კარგი თამაშით დაიმსახურა. საბჭოთა პოკეისტებმა მაშინ 38-ჯერ დაარტყეს ბერკის კარში, 36 მათგანი მეკარემ წარმატებით მოიგვრია.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კალგარის სესიის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს

მხარი ოლიმპიური ქარტიის 28-ე წესის გაუქმებას. ეს წესი, როგორც ცნობილია, ოლიმპიადებში ქალთა მონაწილეობას ერთგვარად ზღუდავს, წინადადება შეზღუდვის გაუქმებაზე შეაკანიანა სპორტსმენმა ანიტა დეფრანცა შეიტანა. სხვათა შორის, დეფრანცი მეხუთე ქალია, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წევრი გახდა (1981 წლამდე ამ თანამდებობაზე მხოლოდ მამაკაცებს ირჩევდნენ).

პანკა სესიაზე ცამეტ კაცს ოლიმპიური ორდენებით გადაეცათ. დავილოვებულთა სიაში პირველად მოხვდნენ ალბანისტებიც — იტალიელ რაინჰოლდ მესნერი და პოლონელი ევი კუჟუჩა.

გამომცხადდა, რომ ალბერვილის შემდეგ ზამთრის ოლიმპიური თამაშების მოწყობის სურვილს აცხადებენ: ანკორიჯი (აშშ), ლოზანა (შვეიცარია), ლილჰამერი (ნორვეგია), ესტერსუნდი (შვეიცა) და სოფია (ბულგარეთი).

კალგარის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობენ მძევი პოლანდელი (აშშ). უფროსი, 27 წლის მაიკლი ტრამპლინიდან ხტომაში გამოდიოდა, უმცროსი — ჯო კი ორტიმელი. ვერც ერთმა მძემ წარმატებას ვერ მიაღწია.

ოლიმპიური სოფლის პირველ ბინადრებს — ფრანსის მოციგურეებს სპეციალური სამახსოვრო მედლები გადაეცათ.

ოლიმპიადის დღეებში ფასები კალგარის ყველაფერზე ერთი-სამედ გაიზარდა. ეს ტენდენცია განსაკუთრებით იგრძნობა რესტორნებში, სასაუბრეებსა და კაფეტერიებში.



სპორტინალის ანსაზღვი

დარბაზში ნელა ქრება სინათლე, მერ ასევე ნელ-ნელა ნათდება ყინულის არენა და... თქვენს წინ გადაიშლება შესანიშნავი სანახაობა. თუ ანტრატს არ მივიღებთ, მთელი კონცერტი უწყვეტ, ამალეზულ რიტმში მიმდინარეობს, კლასიკურ თუ უკრაინულ ხალხურ მუსიკას და სცენებს-ერთიან რიტმში ასევე შესანიშნავად ერთობს ქართული სიმღერა და ცეკვა. ალბათ ბევრს არ უნახავს როგორ სრულდება ყინულზე ჩვენი ცეკვები, რომელსაც ასე ვირტუოზულად ასრულებენ უკრაინელი სტუმრები ანსამბლის სოლისტ, ფიგურულ ციგურაობაში სსრ კავშირის სპორტის ოსტატ ბადრი ყურაშვილთან ერთად. მდიდრული დეკორაციები და კოსტუმები, კონცერ-

ტის მსვლელობისას ლაზერის განათების მოხდენილი გამოყენება მართლაც ზღაპრულს ხდის უკრაინელ მსახიობთა გამოსვლებს. ...უკრაინის სპორტულ-მხატვრული ანსამბლის გასტროლები „ბალეტის ყინულზე“ 24 თებერვალს დაიწყო სპორტის სასახლეში. კეშმარტად საამო სანახავია წარსულში ცნობილი და საყოველთაოდ აღიარებული სპორტსმენების, ამჟამად კი ანსამბლის წევრების მალაი ოსტატობა და ფანტაზია. კონცერტის შემდეგ მაყურებელი დიდხანს უკრავდა ტაშს ყინულის ქაღალქებს. უკრაინელთა ანსამბლის გამოსვლისადმი დიდ ინტერესზე ისიც მეტყველებს, რომ სპორტის სასახლის დორეკტივში უამრავი განაცხადებია შესული რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებიდან და ქალაქებიდან, თბილისის ორგანიზაციებიდან. გასტროლები 7 მარტს დამთავრდება.

სარკილზეა ბადრი ყურაშვილი

პართული სპორტის მოყვარულები კარგად იცნობენ მას — სპორტის ოსტატს ფიგურულ ციგურაობაში ბადრი ყურაშვილს. ექვსი წლისა მივიდა ბადრი თბილისის საციგურაო სკოლაში, კარგახანს უპრესპექტივოდ თვლიდნენ, მაგრამ გამოცდილება მივრთნელმა ვალენტინა რეტივიჩმა, ცნობილმა ქორეოგრაფებმა იური ზარუციმ და ალა დვალმა იგი ძლიერ ოსტატად გამოზარდეს.

1977 წელს ყურაშვილი გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვისტის“ პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაშიც გამოვიდა. მაშინ იგი 15 წლისა იყო. შემდეგ კი სსრ კავშირის თასის გამაპეებაზე ჩელოა-ბინსკში მეორე ადგილზე გავიდა, ასევე ორ-ორჯერ იყო მეორე და მესამე ქვეყნის პირველობაზე.

...ერთხელ ბადრი ყურაშვილმა ცნობილი რეჟისორის და ქორეოგრაფის ვახტანგ ვრონსკი-ნაიდი-რაის ყურადღება მიიპყრო. ვახტანგი იმხანად ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელი გახლდათ. საწყობაროდ, ყურაშვილმა მაშინ ვერ შეძლო მიწვევის მიღება. და აი, საქართველოს ფიგურალური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ბადრი ყურაშვილი 1985 წელს უკრაინის დედაქალაქში გაიმართლი ერთ-ერთი საკავშირო შეჯიბრების შემდეგ ყინულის ანსამბლის წევრი გახდა.

...რეპროდუქტორიდან ქართული მელოდია გაისმის. ყინულის სარბილზე ნეფე-დედოფალი გამო-



ნდა (სპორტის ოსტატები ბადრი ყურაშვილი და მარინა პოპლავსკაია) ტრადიციული მაყრიონით. ნეფე-დედოფალი მოხდენილად ასრულებს. ქართულ ცეკვას, მერე დოლ-გარმონმა ცეცხლოვანი „შეჯიბრება“ გააჩაღა... მაყურებელმა მოიწონა „ქართული სუიტის“ საგანგებოდ თბილისის გასტროლებისათვის რომ დადგა ანსამბლის მთავარმა ბალეტმეისტერმა ვლადიმერ გაჩეკომ.

ასევე დიდი მოწონება ხვდა ვახტანგ ვრონსკის მიერ დადგმულ ალმოსავლურ ცეკვას, რომელშიც ყურაშვილს პარტნიორობას ამჯერად სპორტის ოსტატი ელენა ვიხენტალი უწყვედა. კარგი იყო აგრეთვე „კარმენ-სურტა“ (მას მთელი პირველი განყოფილება უკავია), „ტყის ფანტაზია“, „მოციგურავე კახეკები“, „გოპაკი“, სახუმარო სცენა „მოკრივენი“ და სხვ.

თთარ თთარაშვილი.

სპორტინალის ფინ

კუნანში. ადგილობრივი „ქალგარისისა“ და კიევის „სტროიტელის“ პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში, რომელიც უკრაინის დედაქალაქში ჩატარდა, გამარჯვება, საკმაოდ დიდი ანგარიშით, „სტროიტელის“ კალათბურთელებს დარჩათ — 99:72.

განმეორებით მატჩში „ქალგარისს“ რევანში აიღო — 86:76 (41:28) და ამით სუპერფინალში თამაშის შანსი გაათანაბრა. ახლა ყველაფერი მესამე გადამწყვეტ ორთაბრძოლაზე ექნება დამოკიდებული. ამ წყვილში გამარჯვებული ცსკა-ს შეხვდება, დამარცხებული კი თბილისის „დინამოს“.

სპორტინალის ფინ

ბის კალათბურთელებთან და კვლავ დამარცხდნენ — 68:130. ცსკა-მ მოიპოვა სუპერფინალში თამაშის უფლება და ახლა ელოდება მეტოქეს, რომელიც „ქალგარისს“ — „სტროიტელის“ მესამე შეხვედრაში უნდა გამოავლინოს.

თბილისის „დინამო“ მცირე სუპერფინალში ითამაშებს მესამე ადგილისთვის.

ოთხეული პრემიერობას არაგებს

პიროვის სახელობის პარკის დარბაზში დაიწყო პირველი ლიგის კალათბურთულ ქალთა საკავშირო პირველობის მორიგი ტური, რომელშიც საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის გარდა ასპარეზობენ ფრუნჯის „სტროიტელი“, დონის როსტოვის „ქრასნი აქტი“ და პენზის „სპარტაკი“.

სასტარტო შეხვედრაში საქართველოს წარმომადგენლები პენზის „სპარტაკს“ შეხვდნენ. პირველი ტაიმი, რომელიც სტუმრებმა ერთი ქულის უპირატესობით მოიგეს (48:47), უადრესად მძაფრა ბრძო-

ლით აღინიშნა. ბრძოლა მეორე ტაიმშიც საკმაოდ დაძაბული იყო, მაგრამ თბილისელებმა მაინც შესძლეს თამაშში ვარდატეხის შეტანა და გამარჯვებაც მოიპოვეს — 87:78.

როსტოვის კალათბურთელებს ფრუნჯის „სტროიტელთან“ დასაწყისში წარმატების მეტი შანსი ჰქონდათ. ტაიმი მათ ექვსი ქულითაც მოიგეს (56:50), მაგრამ შესვენების შემდეგ ფრუნჯელები საგრძობლად გააქტიურდნენ და საბოლოო გამარჯვებასაც მიაღწიეს 97:93.

